განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

2011

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ნაწილი 1. თვითშეფასება ---------- გვ. 3

სტანდარტი 1 ---------- გვ. 3

სტანდარტი 2 ---------- გვ. 7

სტანდარტი 3 ---------- გვ. 11

სტანდარტი 4 ---------- გვ. 14

სტანდარტი 5 ---------- გვ. 17

ნაწილი 1. თვითშეფასება

სტანდარტი 1 – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

ა) პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია;

განმარტება:

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს სასწავლო მიზანი, რომელიც აკონკრეტებს პროგრამის გავლის შემდეგ სასწავლო პროცესის შედეგს. შესაბამისად, მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ყოველთვის უნდა იყოს: ფორმულირებული ნათლად და არაორაზროვნად, თანმიმდევრული ერთი კვალიფიკაციის თვალსაზრისით და არაურთიერთსაწინააღმდეგო, აგრეთვე რეალისტურად მიღწევადი. მიზნებში მოცემული უნდა იყოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობები როგორებიცაა: დასაქმებულობა (დასაქმების სფერო), სამეცნიერო ხარისხი, პიროვნული განვითარება, დემოკრატიულობა, მოქალაქეობრივი ღირებულებები და ა.შ.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენად არის სტანდარტები დაკმაყოფილებული?
- პროგრამის შეთავაზების მიზეზი და განვითარების შესაძლებლობები
- როგორაა აღწერილი მიზნებში დასაქმებულობა?
- როგორ შეესაბამება პროგრამის მიზნები მისიას?

დასაბუთება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მოკლე აღწერა, მისიის განაცხადი, წესდება, ფაკულტეტის დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები, განვითარების გეგმა. პროგრამის მიზნებში ასახულია სტუდენტებისათვის მეცნიერული საფუძვლების გაცნობა, სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება, პიროვნული განვითარება და დასაქმებულობა.

ბ) პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

განმარტება:

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს, კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას. კომპეტენციები უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სასწავლო გეგმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში მასწავლებლები, სტუდენტები და, შესაძლოა, სხვა მოქმედი პირები უნდა იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მის გარეთ. თვითშეფასების ანგარიში, შესაბამისად, უნდა შეიცავდეს ამ საკითხთა აღწერას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ კურიკულუმში შინაარსობრივ თანმიმდევრობასა და ლოგიკას, დასახული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების განვითარებასთან მიმართებაში?
- როგორ შეაფასებდით ძირითად საგნებს სავალდებულო/არჩევითთან მიმართებაში და რა თანაფარდობაა მათ შორის?
- სწავლების რა მეთოდებია გამოყენებული?

დასაბუთება:

კურიკულუმი (პროგრამა), სასწავლო გეგმა (განაწილება, სასწავლო ცხრილი), გამოცდის მარეგულირებელი დოკუმენტები, კომპეტენციების მატრიცა, შეფასების შედეგები, ნაშრომები.

გ) პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით;

განმარტება:

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და არსებობის შემთხვევაში, შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს. თვითშეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს ერთ ნაწილს, რომელიც აღწერს, რამდენად შეესაბამება მინიჭებული ხარისხი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და როგორ განხორციელდა მათი შემოწმება/შეფასება.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამით მისანიჭებელი ხარისხის და კვალიფიკაციის დონის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან/დარგობრივ მახასიათებელთან?

დასაბუთება:

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, დარგობრივი მახასიათებელი

დ) პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე:

განმარტება:

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანები საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე. კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ დასაქმება ეკონომიკურ/საზოგადოებრივ სექტორში, აგრეთვე სწავლის გაგრძელება შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (სამაგისტრო პროგრამა, სადოქტორო პროგრამა). თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი უნდა როგორ არის უზრუნველყოფილი კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა, რაც სასურველია, რომ დასაბუთებული იყოს სტატისტიკური მონაცემებით.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- ითვალისწინებს თუ არა მიზნები შრომის ბაზრის შესაბამის კვალიფიკაციებს?
- როგორ აისახება ეს პროგრამის სტრუქტურაში?

დასაბუთება:

სპეციფიკური სფეროს შრომის ბაზრის ანალიზი და უმაღლესი განათლების სფეროში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.

ე) პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება.

განმარტება:

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს და ითვალისწინებდეს სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა საჭიროებებს, როგორიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებები, შრომის ბაზარი/ ეკონომიკა, მთავრობა, სტუდენტები, მშობლები, პროფესიული ორგანიზაციები, საზოგადოების სხვა დაინტერესებული მხარეები.

თვითშეფასების ანგარიშში განმარტებული უნდა იყოს დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფის გზები და მეთოდები.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რამდენად არიან ჩართულნი დაინტერესებული პირები სწავლის შედეგების განსაზღვრაში?
- რამდენად და რა ფორმით გაქვთ ურთიერთობა ეკონომიკური სექტორის/შრომის ბაზრის/პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან?
- რა გზებით ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებული პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებს?

დასაბუთება:

არსებობის შემთხვევაში, შრომის ბაზრის კვლევა განხორციელებული კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ (სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო და ა.შ.), სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა ან მცირე მასშტაბიანი გამოკითხვა.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

ა) პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;

განმარტება:

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლოა ჰქონდეთ სპეციალური მოთხოვნები უმაღლესი განათლების კონკრეტულ პროგრამებზე დასაშვებად. ის წინაპირობები, რომლებსაც ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვებად უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული ტესტების სირთულეს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რა არის მისაღები გამოცდების წინაპირობები?
- როგორ არის მისაღები გამოცდების პროცედურა ორგანიზებული/სტრუქტურირებული?
- ხელმისაწვდომია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საზოგადოებისათვის?
- როგორ არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან?

დასაბუთება:

პროგრამაზე მიღების მარეგულირებელი დოკუმენტები.

ბ) პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;

განმარტება:

კურიკულუმის ორგანიზება, პროგრამით გათვალისწინებული სწავლება და სტრატეგიები ხელს უნდა უწყობდეს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, თუ კურსის სწავლის შედეგია ის, რომ `სტუდენტებს უნდა შეეძლოთ კომპლექსური პრობლემის ნათლად და გასაგებად წარმოჩენა (რიტორიკული უნარების ჩათვლით)~, სწავლებისა და სწავლის მეთოდები ამ კონკრეტული სწავლის შედეგის შემოწმების საშუალებას უნდა იძლეოდეს. სახელმძღვანელოს წაკითხვა და ტესტირება, ამ შემთხვევაში, შესაძლოა არ იყოს სწავლების კარგი მეთოდი და ეფექტური შეფასების სტრატეგია.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ აღწერთ სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიას და მათ შესაბამისობას მოდულის მიზნებთან?
- როგორ უზრუნველყოფთ, რომ სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები იყოს სტუდენტზე/სწავლის შედეგებზე ორიენტირებული?
- უზრუნველყოფს თუ არა სწავლებისა და სწავლის მეთოდები პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას?

დასაბუთება:

დიდაქტიკური კონცეფცია, გამოქვეყნებული შეფასების პროცედურები, მარეგულირებელი დოკუმენტები.

გ) პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია;

განმარტება:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კურსებისა და მოდულების გარკვეული ქრონოლოგიური წყობა. წყობა უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული და მოდულები/კურსები პირველ სემესტრებში გაცნობით ხასიათს ატარებდეს, მაშინ, როდესაც შემდგომ სემესტრებში უფრო კომპლექსური ხასიათის იქნება. მოდულების/კურსების შედეგები სხვა მოდელებთან მიმართებით უნდა იყოს გათვალისწინებული სემესტრებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შინაარსის განაწილების დროს. ამასთან, პროგრამის გრაფიკი და გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სავალდებულო კურსები/მოდულები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- ვითარდება თუ არა კურსების შინაარსი თანმიმდევრულად შესავალი ნაწილიდან უფრო რთულ საკითხებამდე?

დასაბუთება:

მოდულის აღწერა, პროგრამა (სასწავლო გეგმა)

დ) სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით;

განმარტება:

შეფასების მეთოდები და ფორმები უნდა იყოს ადაპტირებული პროგრამის კურსისა და მოდულის სწავლის შედეგებთან ისე, რომ მათ ნამდვილად ასახონ სწავლის შედეგების მიღწევა. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს შეფასების სისტემას ქულათა ფიქსირებული სკალით. ქულათა მაქსიმუმი არის 100. სტუდენტის მოსწრების შეფასების პროცესში კანდიდატის მოსწრების სხვადასხვა კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული. თვითშეფასების ანგარიში უნდა შეიცავდეს მოკლე ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა განხორციელდეს პროგრამაში შეფასების სისტემა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია სტუდენტების შეფასების პროცედურები და მათ შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან?
- როგორია გამოცდის/გამოცდების ტიპი და დონე და მათი შესაბამისობა მოდულის/მოდულების სწავლის შედეგებთან?
- არის თუ არა გამოყენებული შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები? რომელი?
- უზრუნველყოფს თუ არა შეფასების მეთოდები პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას?

დასაბუთება:

მოდულის აღწერა, წესები და მარეგულირებელი დოკუმენტები, შეფასების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების შედეგები.

ე) სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

განმარტება:

შეფასება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი უნივერსიტეტებში. შეფასებას აქვს ორმაგი ფუნქცია - სტუდენტების მიღწევების გაკონტროლება, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის უკუგების უზრუნველყოფა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- არის თუ არა შეფასების კრიტერიუმები ცნობილი საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის?
- არის თუ არა უზრუნლვეყოფილი უკუგება სტუდენტსა და მასწავლებელს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით?

დასაბუთება:

მოდულის აღწერა, წესები და მარეგულირებელი დოკუმენტები, შეფასების მეთოდები.

სტანდარტი 3 – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

ა) სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას;

განმარტება:

უნივერსიტეტში დახმარების სერვისების არსებობა მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის წარმატების მისაღწევად. დამხმარე სერვისები მოიცავს ადმინისტრაციულ საკითხებს (რეგისტრაციას და ა.შ.), ასევე სოციალურ (რჩევებს) და დასვენების სერვისებს (სპორტი და ა.შ.). თვითშეფასების ანგარიშში უნდა იყოს ასახული თუ როგორ არის უზურნველყოფილი სტუდენტური სერვისები და რამდენად არიან სტუდენტები კმაყოფილნი არსებული მომსახურებით.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტებისათვის?

დასაბუთება:

სტუდენტების დახმარების პოლიტიკა, სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა.

ბ) დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა;

განმარტება:

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუნდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ მთლიანად პროგრამაში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- არის თუ არა პროგრამაში გათვალისწინებული სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა? რა ფორმით?

დასაბუთება:

კურიკულუმი, მარეგულირებელი დოკუმენტები

გ) დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში;

განმარტება:

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტს გააჩნდეს შემდგომი განვითარების შესაძლებლობები, რასაც ხელს უწყობს კვლევით პროექტებში მონაწილეობა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართულობა.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- აქვთ თუ არა სტუდენტებს საშუალება მონაწილეობა მიიღონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში?
- რა სახის კურიკულუმისაგან დამოუკიდებელ აქტივობებს ახორციელებთ/ან გეგმავთ, რომ განახორციელოთ?

დასაბუთება:

კვლევითი მასალა, ანგარიში, ერთობლივი პროექტები.

დ) დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

განმარტება:

საერთაშორისო ბაზრისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლება უცხო ენებზე (უმეტესად, ინგლისურ ენაზე), ასევე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა (მაგალითად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები სხვა უცხოურ პარტნიორ ორგანიზაციებთან). თვითშეფასების ანგარიშში უნდა იყოს აღწერილი პროგრამის საერთაშორისო ასპექტები.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- აღწერეთ პროგრამის საერთაშორისო ასპექტები?
- როგორ არის საერთაშორისო ასპექტები ასახული სასწავლო გეგმაში?

- რამდენი უცხოელი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე სტუდენტი/მასწავლებელი სწავლობს/ასწავლის კონკრეტული პროგრამის ფარგლებში?
- რომელ უცხოურ საგანმანათებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობთ პროგრამის ფარგლებში?
- რამდენადაა უზრუნველყოფილი (სავალდებულო ან რეკომენდებული) სტუდენტების მობილობა პროგრამის ფარგლებში?
- რომელი კურსები/მოდულები ისწავლება უცხო ენებზე?

დასაბუთება:

პროგრამის ანალიზი ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება, სწავლების ენები, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, კრედიტების სისტემა, პროფესორებისა და სტუდენტების მობილობა (გაცვლა) და ა. შ.

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ა) დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

განმარტება:

თითოეული პროგრამა საჭიროებს ადეკვატურ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ან ინფრასტრუქტურას, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და დაეუფლონ კვლევის მეთოდებს. რა თქმა უნდა, განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი რესურსებით ინტენსიურად დატვირთული საგნებისა (როგორიცაა მედიცინა ან ინჟინერია, სადაც მძიმე მანქანა-დანადგარები ან ლაბორატორიებია საჭირო) და რესურსებით ნაკლებად დატვირთული საგნებისთვის, რომელთა სწავლასაც არ სჭირდება დიდი რაოდენობით ტექნიკური აპარატურა. მოწყობილობები აგრეთვე მოიცავს სალექციო ოთახებსა და დარბაზებს, რომლებიც სჭირდება ყველა დისციპლინას სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად. აგრეთვე, უნდა იყოს გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- რა რესურსებია საჭირო პროგრამის განსახორციელებლად და რამდენადაა ხელმისაწვდომი?
- არსებობს თუ არა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტები? მოწმდება თუ არა ისინი?

დასაბუთება:

შენობის გეგმა, მოწყობილობების აღწერა.

ბ) კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით;

განმარტება:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების წარმატებით განხორციელება უნივერსიტეტში მოითხოვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ პერსონალს საკმარისი რაოდენობით.

თვითშეფასების ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს მონაცემებს უნივერსიტეტის თანამშრომლების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას აგრეთვე მათი კვალიფიკაციების შესახებ.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია მასწავლებელთა აკადემიური და პედაგოგიურ/დიდაქტიკური კვალიფიკაციები და გამოცდილება პროგრამის მიზნებთან მიმართებით?

დასაბუთება:

ფაკულტეტის თანამშრომელთა რეზიუმეები აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების ჩათვლით, პერსონალის დატვირთვის მატრიცა.

გ) პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;

განმარტება:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში მოითხოვს არამარტო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ, არამედ კვალიფიციურ დამხმარე პერსონალს საკმარისი რაოდენობით. სწავლებისა და დამხმარე პერსონალის ურთიერთდამოკიდებულება (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კომპიუტერული სერვისები, სტუდენტთა სერვისები, ადმინისტრაცია) შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი იყოს საუნივერსიტეტო პროგრამის განხორციელების პროცესში.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია სტრუქტურა (ნახევარი განაკვეთი/სრული/ დამხმარე პერსონალი) და მათი გამოცდილება პროგრამის მიზნებთან მიმართებით?

დასაბუთება:

პერსონალის დაქირავების/სამუშაოზე აყვანის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრუქტურისა და რაოდენობის აღწერა, პერსონალის დატვირთვის მატრიცა.

დ) სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

განმარტება:

სასწავლო მასალები უნივერსიტეტებში უნდა იყოს დაფუძნებული სამეცნიერო კვლევების შედეგებზე. მნიშვნელოვანია, რომ ისინი თანამედროვეა და არ ემყარება მოძველებულ კვლევით შედეგებს. სასწავლო მასალები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის და ხელს უნდა უწყობდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ უზრუნველყოფთ სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო, ხარისხიანი მასალების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის, ადგილზე და ონლაინით?

დასაბუთება:

სასწავლო მასალები.

ე) არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

განმარტება:

თითოეულ პროგრამას აქვს ფინანსური გეგმა, რომელიც განხორციელებადია, გამჭვირვალე და აბალანსებს შემოსავალსა და ხარჯებს. ეს აუცილებელი რეკვიზიტია ფინანსური სტაბილურობისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ ახორციელებთ პროგრამის ფინანსურ დაგეგმვას?
- როგორ არის ეს დაკავშირებული ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ფინანსურ გეგმასთან?
- აბალანსებს თუ არა ფინანსური გეგმა შემოსავლებსა და ხარჯებს?
- არის თუ არა პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მდგრადი?

დასაბუთება:

ფინანსური გეგმა, სასურველია, დაფინანსების წყაროები (კერძოდ, სახელმწიფო), ფინანსური გარანტია.

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

ა) მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- განავითარე" ციკლს;

`დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე~ ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა. ის გულისხმობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ შემდეგნაირად უნდა იმუშაოს: პირველ ეტაპზე უნდა დაიგეგმოს, (მაგალითად, `სწავლების გეგმა~); მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს (`განახორციელე~); მესამე ეტაპზე უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს, და, შესაბამისად, მოიძებნოს მიზეზები (`შეამოწმე~); საბოლოო ეტაპზე შედეგები უნდა შეჯამდეს და ამ შედეგებს ახალი ციკლის დაწყებისაკენ მივყავართ (`განავითარე~).

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორია ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები, რომლებიც გამოყენებულია პროგრამის შინაარსის, პროცესებისა და შედეგებისათვის?

დასაბუთება:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტები და შედეგები.

ბ) შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

განმარტება:

თითოეულ პროგრამას უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების საკუთარი სისტემა. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს რეგულარული შიდაშეფასების ელემენტებს, რომლებსაც მოჰყვება ექსპერტთა განხილვა ან მსგავსი გარეპროცედურები. თვითშეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს ნაწილს, რომელიც აღწერს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და მის შედეგებს.

კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თვითშეფასების ანგარიში

- როგორ ხდენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება?
- რამდენად ხშირი ხასიათი აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ პროგრამის შიდა-/გარეგანხილვებს?

დასაბუთება:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტები და შედეგები